საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №27
2024 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებული „დანართ №3“-ის („ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები“) სახაზინო კოდის – 3194 – „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

„საკონტეინერო მოსაკრებელი	3195“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ლაშა ხუციშვილი**